# კავშირები მიგრაციას და განვითარებას შორის



ნათია მესტვირიშვილი


ცენტრალური მთავრობა
ბიზნეს სექტორი
მიგრაცია
მექანიზმები
განვითარება
არასამთავრობო სექტორი
ადგილობრივი მთავრობა


მიგრაციის დადებითი ეფექტები
ხელშემწყობი მექანიზმები
მიგრაციის უარყოფითი ეფექტები

## ემიგრაცია

- რეინტეგრაცია
- ფულადი გზავნილების მიმართვა განვითარებაზე
- დიასპორის ჩართულობა
- დროებითი შრომითი მიგრაცია

## იმიგრაცია

- ინტეგრაცია
- იმიგრანტთა კვალიფიკაციაზე და შრომის ბაზარზე დაფუძნებული იმიგრაციის პოლიტიკა
- ცოდნის და უნარების გადაცემა
- იმიგრანტთა პოტენციალის მიმართვა რეგიონების განვითარებაზე

# ფულადი გზავნილები

ამცირებს სიღარიბეს

ზრდის განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას

ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას

# ხელშემწყობი მექანიზმები

1. მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების საჭიროებების შესწავლა და კვლევის საფუძველზე საჭირო პროდუქტების და პროგრამების დანერგვა

2. ემიგრანტების და მათი ოჯახის წევრების ფინანსური განათლების გაუმჯობესება

3. ფულადი გზავნილებით უზრუნველყოფილი საინვესტიციო, სადაზღვევო და საანაბრე პროდუქტების შექმნა; ემიგრანტებისთვის საშუალების მიცემა გახსნან და აწარმოონ დეპოზიტი საქართველოში სხვა ქვეყნებიდან; მიკრო საფინანსო ორგანიზაციებისთვის აღნიშნული დეპოზიტების მიღების უზრუნველყოფა;

4. მიგრანტების სათემო საინვესტიციო პროექტების წახალისება თანადაფინანსებით ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან და ტექნიკური დახმარებით (ტრენინგები, კონსულტაციები და ა.შ.)

# დიასპორას შეუძლია ხელი შეუწყოს

- ვაჭრობის განვითარებას
- ინვესტიციებს
- ცოდნის და უნარების გადაცემას

# ხელშემწყობი მექანიზმები

1. მუშაობა „გამორჩეულ“ დიასპორის წევრებთან, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანა - მეწარმეები, სხვადასხვა კომპანიის თუ ორგანიზაციის აღმასრულებელი მენეჯერები, მეცნიერები, გამომგონებლები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები

2. ისეთი დიასპორული ორგანიზაციების წახალისება, რომლებიც ეწევიან მაგალითად ღვინის, კულინარიის, მთამსვლელობის, არქეოლოგიის და სხვა საქართველოსთან დაკავშირებული აქტივობების პოპულარიზაციას. საზაფხულო ბანაკები და მსგავსი აქტივობები ამლიერებს დიასპორის კავშირს წარმოშობის ქვეყანასთან

3. დიასპორის წევრებისთვის რეგიონული განვითარების და საინვესტიციო სქემების (მაგ. „აწარმოე საქართველოში“) გაცნობა. დაბრუნებული მიგრანტების წახალისება საქართველოში გამოიყენონ საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება

# დროებითი შრომითი მიგრაცია

ამცირებს უმუშევრობას და არალეგალურ ემიგრაციას

ქმნის ახალ, კვალიფიციურ სამუშაო ძალას

ზრდის ფულად გზავნილებს

# ხელშემწყობი მექანიზმები

1. შრომით მიგრაციაზე პასუხისმგებელი სახელისუფლებო ორგანოების გაძლიერება;

2. ინსტიტუციური კავშირების განვითარება - მათ შორის ადგილობრივ დონეზე, რათა მოხდეს მიგრანტების სწორად შერჩევა და დასაქმება როგორც საზღვარგარეთ, ასევე დაბრუნების შემდგომ და ამ საქმიანობაში შუამავალი ორგანიზაციების არბიტრაჟის შემცირება

3. ტექნოლოგიების, იდეების და სამუშაო უნარ-ჩვევების გადაცემის წახალისება დაბრუნების შემდგომ

# იმიგრანტთა ინტეგრაცია

ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას

უზრუნველყოფს ცოდნის და უნარების გადაცემას

ამცირებს სეგრეგაციის რისკს

# კონკრეტული ხელშემწყობი მექანიზმები

- იმიგრანტთა აღრიცხვის გამართული მექანიზმის შექმნა
- იმიგრანტების წახალისება სხვა რეგიონებში ეკონომიკური საქმიანობის წამოსაწყებად.  ეს ხელს შეუწყობს როგორც იმიგრანტთა ეკონომიკურ ინტეგრაციას, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის თანაბრად განვითარებას
- იმიგრანტებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განვითარება, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს ადგილობრივებთან გათანაბრებული წვდომა ჰქონდეთ შრომის ბაზარზე
- პოლიტიკა და პროგრამები მიმართული უნდა იყოს არა მხოლოდ იმიგრანტებზე, არამედ მიმღებ საზოგადოებაზეც, რათა მოხდეს ქსენოფობიური განწყობების შემცირება